

შპს „---არჯენი-----“

ფინანსური ანგარიშგება  
2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

|                                                           |   |
|-----------------------------------------------------------|---|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----                  | 2 |
| მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება ----- | 3 |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----          | 4 |

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

|                                                         |   |
|---------------------------------------------------------|---|
| ზოგადი ინფორმაცია -----                                 | 4 |
| ანგარიშგების მომზადების საფუძვლები -----                | 6 |
| ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა                            |   |
| მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები |   |
| ძირითადი საშუალებები                                    |   |
| არამატერიალური აქტივები                                 |   |

შპს "არჯენი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

|                                              | შენიშვნა | 2018                | 2017                |
|----------------------------------------------|----------|---------------------|---------------------|
| <b>აქტივები</b>                              |          |                     |                     |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                 |          |                     |                     |
| ძირითადი საშუალებები                         | 4        | 783 961,97          | 825 169,00          |
| არამატერიალური აქტივები                      | 5        | 4 722,64            | 5 509,72            |
| საინვესტიციო ქონება                          | 10       | -                   | -                   |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>             |          | <b>788 684,61</b>   | <b>830 678,72</b>   |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>                 |          |                     |                     |
| ფულადი და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები | 6        | 587 199,97          | 875 413,04          |
| საფაქრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები      | 7        | 903 994,03          | 1 089 033,96        |
| მარაგები                                     | 8        | 1 105 717,82        | 1 249 356,84        |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები              |          | 10 081,12           | 61 038,35           |
| გაცემული სესხები                             |          |                     |                     |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>             |          | <b>2 607 992,94</b> | <b>3 274 842,19</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                          |          | <b>3 396 677,55</b> | <b>4 105 520,91</b> |
| <b>მოთვლიანი კაპიტალი</b>                    |          |                     |                     |
| საწესდებო კაპიტალი                           |          | 200,00              | 200,00              |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)    |          | 945 272,74          | 1 292 902,66        |
| <b>სულ კაპიტალი</b>                          |          | <b>945 472,74</b>   | <b>1 293 102,66</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                         |          |                     |                     |
| გრძელვადიანი სესხები                         | 11       | 370 030,00          | 518 440,00          |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>        |          | <b>370 030,00</b>   | <b>518 440,00</b>   |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>            |          |                     |                     |
| მოკლევადიანი სესხები                         | 11       | 449 668,81          | 435 489,60          |
| საფაქრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები   | 9        | 1 631 506,00        | 1 858 468,65        |
| საგადასახადო ვალდებულებები                   |          |                     |                     |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>        |          | <b>2 081 174,81</b> | <b>2 293 978,25</b> |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                     |          | <b>2 451 204,81</b> | <b>2 812 418,25</b> |
| <b>ბუღალტრული კაპიტალი და ვალდებულებები</b>  |          | <b>3 396 677,55</b> | <b>4 105 520,91</b> |

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შპს "არჯენი"

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2018  
წლის დასრულებული წლისათვის  
(ლარში)

|                                      | შენიშვნა  | 2018        |
|--------------------------------------|-----------|-------------|
| ამონაგები                            | <u>12</u> | 8 776 748   |
| თვითღირებულება                       | <u>13</u> | (7 818 225) |
| საერთო მოგება                        |           | 958 523     |
| სხვა შემოსავლები                     |           | 4 123       |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი      | <u>16</u> | (799 662)   |
| მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები | <u>14</u> | (368 280)   |
| სხვა ხარჯები                         | <u>15</u> | (25 809)    |
| საოპერაციო მოგება                    |           | (231 106)   |
| ფინანსური შემოსავალი                 |           |             |
| ფინანსური ხარჯი                      | <u>17</u> | (80 952)    |
| წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება        |           | (29 304)    |
| მოგება დაბეგვრამდე                   |           | (341 361)   |
| მოგების გადასახადი                   | <u>18</u> |             |
| წმინდა მოგება                        |           | (341 361)   |
| სხვა სრული შემოსავალი:               |           |             |
| გადაფასების რეზერვი                  |           |             |
| მთლიანი სრული შემოსავალი             |           | (341 361)   |

დირექტორი



მთ ბუღალტერი



შპს "არჯენი"

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება  
(ლარში)

|                               | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | მთლიანი კაპიტალი |
|-------------------------------|-----------------------|-------------------------|------------------|
| <b>2017 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>200</b>            | <b>1 292 902,66</b>     | <b>1 293 103</b> |
| წმინდა მოგება                 | -                     | (341 361)               | (341 361)        |
| სხვა სრული შემოსავალი         | -                     | (6 268)                 | (6 268)          |
| პერიოდის სრული შემოსავალი     | -                     | (347 629)               | (347 629)        |
| გაცემული დივიდენდი            | -                     | -                       | -                |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა      | -                     | -                       | -                |
| <b>2018 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>200</b>            | <b>945 274</b>          | <b>945 474</b>   |

დირექტორი

მთ ბუღალტერი

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „---არჯენი“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა --2008----- წლის --- ---1 ივლისი-- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 206332501

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ----საბითუმო ვაჭრობა შოკოლადით და შაქრიანი საკონდიტრო ნაწარმით, ასევე ხე-ტყის მასალით- შპს „---არჯენი-----“ საქართველოს ბაზარზე ახდენს 200 – მდე დასახელების საქონლის რეალიზაციას, კომპანია აღნიშნული პროდუქტების იმპორტს ახორციელებს ძირითადად შემდეგი ქვეყნებიდან: უკრაინა, თურქეთი, რუსეთი. კომპანიას 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გააჩნდა ერთი საწყობი და ორი სავაჭრო ობიექტი, ქალაქ თბილისში. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი წინამძარაულის # 5 . 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის 51%-იანი წილის მფლობელია შოთა ქართლელიშვილი და 49 % -იანი წილის მფლობელია ლელა როსტომაშვილი კომპანიის დირექტორებია: შოთა ქართლელიშვილი და ლელა როსტომაშვილი. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის და 2018 წლის 1 იანვრისთვის შეადგენდა 200 ლარს. 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა იყო 66 და 52 ადამიანი, შესაბამისად,

## 2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

### ძირითადი საშუალებები

#### ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

**ა) შემდგომი ხარჯები**

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

**ბ) ცვეთა**

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება **წრფივი ცვეთის მეთოდით**, სასარგებლო მომსახურების ვადის და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

| ძირითადი საშუალების ჯგუფი  | სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები) |
|----------------------------|--------------------------------------|
| შენობები                   | 25- 30 წელი                          |
|                            |                                      |
| საოფისე ავეჯი და ინვენტარი | 10-15 წელი                           |
| კომპიუტერული ტექნიკა       | 7-12 წელი                            |
| ავტომობილები               | 9-15 წელი                            |

**არამატერიალური აქტივები**

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები (15 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

**მარაგები**

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება MIDL მეთოდით.

**დაბეგვრა**

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან(ქონების გადასახადი).

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ვაკავებთ და ვიხდით აგრეთვე საშემოსავლო გადასახადს შესაბამისი განაცემების მიხედვით და აგრეთვე ვიხდით მოგების გადასახადს დივიდენდის გაცემისას, არაეკონომიკური საქმიანობისათვის ხარჯის გაწევისას და საქონლის უსასყიდლოდ მიწოდების შემთხვევაში.

## შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს, ხოლო როდესაც მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება, კომპანია გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონლის დაბრუნების ვადა არ ამოიწურება.

## ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე წევს სხვა ხარჯებს რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე. ხარჯები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

## სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

## საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

## ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

### შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

#### (ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

#### (ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2018 წლის 31 დეკემბერს და 2017 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

| პერიოდი                          | დოლარი | ევრო   |
|----------------------------------|--------|--------|
| კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის | 2,6766 | 3,0701 |
| კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის | 2,5922 | 3,1044 |

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.
- **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

• **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია მნიშვნელოვანი სასამართლო დავები.

4. ძირითადი საშუალებები

შენიშვნა -4  
ძირითადი საშუალებები

|                                | შენიშვნა -<br>ნაგებობები | მანქანა-<br>დანადგარები | ავეჯი და სხვა<br>ინვენტარი | იჯარით<br>აღებული<br>ქონების<br>კეთილმოწყობა | სატრანსპორტო<br>საშუალებები | კომპიუტერული<br>ტექნიკა | მიწა   | დაუმონტაჟებული<br>მოწყობილობები | ჯამი      |
|--------------------------------|--------------------------|-------------------------|----------------------------|----------------------------------------------|-----------------------------|-------------------------|--------|---------------------------------|-----------|
| ლარში                          |                          |                         |                            |                                              |                             |                         |        |                                 |           |
| 2017 წლის ბოლოს მდგომარეობით   | 617 464                  |                         | 51 172                     |                                              | 231 847                     | 46 678                  | 66 178 | -                               | 1 013 339 |
| შესყიდვა                       |                          |                         | 860                        |                                              |                             | 17 394                  |        |                                 | 18 254    |
| შენიშვნის კაპიტალიზირება       | 1 099                    |                         | 568                        |                                              | 18 400                      |                         |        |                                 | 1 099     |
| გასვლა                         |                          |                         |                            |                                              |                             |                         |        |                                 | 18 968    |
| გაუფასურება                    |                          |                         |                            |                                              |                             |                         |        |                                 | -         |
| შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია    |                          |                         |                            |                                              |                             |                         |        |                                 | -         |
| გადაფასების რეზერვი            |                          |                         |                            |                                              |                             |                         |        |                                 | -         |
| 2018 წლის ბოლოს მდგომარეობით   | 618 563                  | -                       | 51 464                     | -                                            | 213 447                     | 64 072                  | 66 178 | -                               | 1 013 723 |
| დაგროვილი ცვეთა                |                          |                         |                            |                                              |                             |                         |        |                                 |           |
| 2017 წლის ბოლოს მდგომარეობით   | 77 846                   |                         | 9 937                      |                                              | 85 860                      | 14 527                  |        |                                 | 188 170   |
| ცვეთის ხარჯი                   | 21 156                   |                         | 3 812                      |                                              | 18 386                      | 7 038                   |        | -                               | 50 391    |
| გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა |                          |                         |                            |                                              | 8 800                       |                         |        |                                 | 8 800     |
| 2018 წლის ბოლოს მდგომარეობით   | 99 002                   | -                       | 13 749                     | -                                            | 95 446                      | 21 564                  | -      | -                               | 229 761   |
| საბალანსო ღირებულება           |                          |                         |                            |                                              |                             |                         |        |                                 |           |
| 2017 წლის ბოლოს                | 539 618                  | -                       | 41 235                     | -                                            | 145 987                     | 32 151                  | 66 178 | -                               | 825 169   |
| 2018 წლის ბოლოს                | 519 561                  | -                       | 37 715                     | -                                            | 118 001                     | 42 507                  | 66 178 | -                               | 783 962   |

კომპანია

5. არამატერიალური აქტივები

ლარი

2017 წლის ბოლოს

შემოსავლა

გასვლა

2018 წლის ბოლოს

| პროგრამები | ლიცენზიები | სხვა | ჯამი   |
|------------|------------|------|--------|
| 10 550     |            |      | 10 550 |
|            |            |      | -      |
|            |            |      | -      |
| 10 550     | -          | -    | 10 550 |

დაგროვილი ამორტიზაცია

2017 წლის ბოლოს

პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი

გასულის დაგროვილი ამორტიზაცია

2018 წლის ბოლოს

| პროგრამები | ლიცენზიები | სხვა | ჯამი  |
|------------|------------|------|-------|
|            |            |      |       |
| 5 040      |            |      | 5 040 |
| 787        |            |      | 787   |
|            |            |      | -     |
| 5 827      | -          | -    | 5 827 |

საბალანსო რირებულება

2017 წლის ბოლოს

2018 წლის ბოლოს

| პროგრამები | ლიცენზიები | სხვა | ჯამი  |
|------------|------------|------|-------|
| 5 510      | -          | -    | 5 510 |
| 4 723      | -          | -    | 4 723 |

(0)

0

## 6. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

|            |                                                   |            |            |
|------------|---------------------------------------------------|------------|------------|
| შენიშვნა-8 | <b>მარაგები</b>                                   |            |            |
|            | ლარში                                             | 31/12/2018 | 31/12/2017 |
|            | საქონელი                                          | 7 630      | 4 397      |
|            | სხვა მარაგები                                     | 1 099 088  | 1 244 960  |
|            |                                                   | 1 106 718  | 1 249 357  |
|            | Check                                             | -          | -          |
| შენიშვნა-7 | <b>სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები</b>    |            |            |
|            |                                                   | 31/12/2018 | 31/12/2017 |
|            | სავაჭრო დებიტორული დავალიანებები                  | 881 628    | 1 080 683  |
|            | სხვა მოთხოვნები                                   | 22 366     | 8 351      |
|            |                                                   | 903 994    | 1 089 034  |
|            | Check                                             | 0          | (0)        |
| შენიშვნა-6 | <b>ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები</b> |            |            |
|            | ლარში                                             | 31/12/2018 | 31/12/2017 |
|            | ფული სალაროში                                     | 108 507    | 233 182    |
|            | ფული საბანკო ანგარიშებზე                          | 478 693    | 642 231    |
|            |                                                   | 587 200    | 875 413    |
|            | Check                                             | -          | -          |
| შენიშვნა-9 | <b>სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები</b> |            |            |
|            | ლარში                                             | 31/12/2018 | 31/12/2017 |
|            | სავაჭრო ვალდებულებები                             | 1 449 763  | 1 743 706  |
|            | გადასახელი ხელფასები                              | 42 173     |            |
|            | გადასახდელი პროცენტები                            | 139 571    | 114 782    |
|            |                                                   | 1 631 506  | 1 858 488  |
|            | Check                                             | 0          | (0)        |

## 7. სესხები

### შენიშვნა-11

#### სესხები

| ლარი                            | გრძელვადიანი |            | კრატელვადიანი |            |
|---------------------------------|--------------|------------|---------------|------------|
|                                 | 31/12/2018   | 31/12/2017 | 31/12/2018    | 31/12/2017 |
| ზანაის სესხები                  |              |            | 370 030       | 518 440    |
| დაკავშირებული მხარეების სესხები | 449 669      | 435 490    |               |            |
| ოვერდრაფტები                    |              |            |               |            |
| სულ სესხები                     | 449 669      | 435 490    | 370 030       | 518 440    |

გრძელვადიანი სესხების დაფარვის ვადაა 2020 წლის 31 დეკემბერი, საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 9% საწარმოს დაწესებული აქვს შეზღუდვები, რომლის თანახმადაც საჭიროა ფინანსური დაწესებულების თანხმობა კაპიტალური ინვესტიციების განსახორციელებლად რომელთა ღირებულება აღემატება 500,000 ლარს. გრძელვადიანი საბანკო სესხი უზრუნველყოფილია საწარმოს ძირითადი საშუალებებით.

მიღებულ სესხებში მომხდარი ფულადი და არაფულადი ცვლილებები, შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| ფულადი ნაკადების მოძრაობა     | ფინანსური ინდიკატორები | დამოკიდებული მხარეები |
|-------------------------------|------------------------|-----------------------|
| სესხის ძირის დაფარვა          |                        |                       |
| სესხის აღება                  |                        |                       |
| პროცენტის დაფარვა             |                        |                       |
| არაფულადი ნაკადების მოძრაობა  |                        |                       |
| პროცენტის დარიცხვა            |                        |                       |
| გადაფასება                    |                        |                       |
| <b>2018 წლის 31 დეკემბერი</b> |                        |                       |

## 8. ამონაგები და ხარჯები

**ამონაგები 2018 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:**

**შენიშვნა-12 ამონაგები**

ლარი

31/12/2018

საქონლის რეალიზაცია

8 784 199

8 784 199

Check

**შენიშვნა-13 თვითღირებულება**

ლარი

31/12/2018

საქონლის თვითღირებულება

7 818 225

7 818 225

Check

**შენიშვნა-14 მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები**

31/12/2018

საწვავის ხარჯი

133 836

სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი

53 387

რეალიზაციის დანახარჯები

181 055

368 278

**შენიშვნა-15 სხვა ხარჯები**

ლარი

31/12/2018

სხვა ხარჯები

18 812

ქონების გადასახადი

6 997

25 809

Check

**შენიშვნა-16 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი**

ლარი

31/12/2018

შრომის ანაზღაურება

624 524

ცვეთა და ამორტიზაცია

51 180

საკონსულტაციო ხარჯი

1 200

ბანკის მომსახურება

1 208

იჯარის ხარჯი

81 939

მივლინების ხარჯები

20 727

სხვა ადმინისტრაციული ხარჯი

1 747

კომუნიკაციის ხარჯები

17 138

799 662

Check

**შენიშვნა-17 ფინანსური ხარჯი**

ლარი

31/12/2018

ბანკის სესხის პროცენტი

34 562

დაკავშირებული მხარის სესხის პროცენტი

46 391

80 952

## 9. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2019 წელს დამფუძნებლებს ჯერ არ მიუღიათ გადაწყვეტილება წინა წლის დივიდენდის განაწილების შესახებ.



